ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (ამი)** რეგულარულად ატარებს ფორუმებს საჯარო დისკუსიის სახით სახელმწიფო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე. ფორუმის მიზანია, შედგეს დიალოგი მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის მოცემული თემის საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მოიძებნოს არსებული პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტის გზები და დაისახოს სამომავლო პერსპექტივები.

ამი-ფორუმი № 22

ადამიანის ძირითადი უფლებები კორონავირუსის პანდემიის ფონზე

5 ნოემბერი 2020, 16:30 საათი, Zoom

მთელ მსოფლიოში კორონავირუსის კრიზისმა გამოიწვია ადამიანის ძირითადი უფლებების მასიური შეზღუდვა, მათ შორის ისეთი ელემენტარული უფლების როგორიცაა მიმოსვლის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება და შრომის თავისუფლება. შეზღუდვები ეხება საზოგადოების თითქმის ყველა ფენას და საკონსტიტუციო სასამართლოები ვირუსის გავრცელების აცილების ღონისძიებების თანაზომიერების გადამოწმებით არიან დაკავებულნი. საქართველოში ეს შეზღუდვები ეფუძნება პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა, ხოლო გერმანიაში მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად არის უფლებამოსილი აღმასრულებელი ხელისუფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს შეზღუდვები.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე ისაუბრებენ **თსუ-ს საპატიო დოქტორი, პროფ. დოქ. კარლ-პეტერ ზომერმანი** (შპაიერის უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის, სახელმწიფო თეორიისა და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი) და **პროფ. დოქ. კონსტანტინე კორკელია** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი). მოხსენებების შემდეგ გაიმართება დისკუსია.

მონაწილეობის მიღება უფასოა და შესაძლებელია რეგისტრაციის გარეშე.

სამუშაო ენა არის ინგლისური.

ფორუმს შეგიძლიათ დაესწროთ შემდეგი ლინკის მეშვეობით:
Join Zoom Meeting
https://zoom.us/j/98922665002?pwd=aEczUi9Bd3Vzc1RINkxHa3kwRjFMdz09

Meeting ID: 989 2266 5002
Passcode: 291485

მოხარულნი ვიქნებით, თუ მიიღებთ მონაწილეობას!